ყველანი არჩევნებზე!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური კარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 ივნისი კვირა 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 134 (15044)

დღეს საქართველოს მშრომელები პირჩევენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს

საშუალოს სალიდებლად, ხალხის საკეთილდღეოდ!

ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

ერთსულოვნად!

ივნისის ამ ნათელ დღეს საბჭოთა დემოკრატიის კიდევ ერთი ჭეშმარიტი ზეიმი იქნება. დღეს საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მივლენ საარჩევნო უბნებში და ხმას მისცემენ პარტიისა და ხალხის ღირსეულ შვილებს, იმათ, ვინც კეთილსინდისიერი შრომით, ხალხის ერთგულებით დაიმსახურა ნდობა იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატები.

საარჩევნო კამპანია ყოველთვის იყო ჩვენში დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენა, მას ყოველთვის ზეიმითა და შრომითი აღმავლობით ხვდებოდნენ საბჭოთა ადამიანები. წლევანდელი არჩევნები კი უფრო საზეიმო და ღირსსახსოვარია ყველასათვის, რადგან წელს გაიმართა სკკპ პარტიის XXIV ყრილობა, რომელმაც ლენინური პრინციპულობითა და დიდად საქმიან ვითარებაში განიხილა ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები, განსაზღვრა პარტიისა და საბჭოთა ხალხის უახლოესი ამოცანები. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებები და ახლა წარმატებით იღვწიან მათი განხორციელებისათვის. ამასთან ერთად რესპუბლიკის მშრომელებმა იზეიმეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავი, რომელიც ხალხთა ლენინური მეგობრობის ჭეშმარიტ დღესასწაულად გადაიქცა.

არჩევნების ამ საზეიმო დღეს ახალ-ახალი საწარმო საჩუქრები მიუძღვნეს მეტალურგებმა და მშენებლებმა, მაღაროელებმა და ქიმიკოსებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, ინტელექტუალური შრომის ადამიანებმა.

დღეს, ისე როგორც ყოველთვის, კომუნისტური პარტია არჩევნებში გამოდის უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან მჭიდრო ერთიანობით და ურღვევი ბლოკით. სწორედ ამაშია ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ძალა და ძლიერება, სოციალისტური დემოკრატიის ეს ძალა განმტკიცებულია იმით, რომ თვით ხალხია არჩევნების შემოქმედი, უშუალოდ მონაწილეობს საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობის განსაზღვრაში. არსად, არც ერთი კაპიტალისტური ქვეყნის პარლამენტს არა ჰყავს დეპუტატებად მშრომელი ადამიანების ესოდენ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

ამიტომ არის, რომ ჩვენში გამართულ ყოველ არჩევნებში მშრომელები სიხარულით აძლევენ ხმას სახელმწიფო ორგანოში ასარჩევ ადამიანებს, პარტიისა და ხალხის ღირსეულ შვილებს.

ჩვენმა ხალხმა იცის, რომ კომუნისტური პარტია მისი ბრძენი წინამძღოლია, იგი მტკიცედ დგას მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე, მისი უმაღლესი მიზანია სამშობლოს აყვავება, მშვიდობა, ბედნიერება ხალხებისათვის. სწორედ ამ დიდი ზრუნვის საპასუხოდ დღეს ჩვენი ადამიანები სიხარულით ჩაუშვებენ საარჩევნო ყუთებში ბიულეტენებს და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

ამ დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოხდით, თავისი მართალი ხმის მიცემით საბჭოთა ადამიანი ხმას აძლევს კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, იმ დიდ ამოცანათა წარმატებით განხორციელებას, რომლებიც პარტიის XXIV ყრილობამ დაგვისახა.

წინა არჩევნებიდან დღემდე განვლილმა ოთხმა წელმა ჩვენს ხალხს კვლავ ნათლად და მკაფიოდ უჩვენა, რომ კომუნისტური პარტიის სიტყვა და საქმე ერთია. ყოველივე, რასაც პარტია იტყვის, ხორციელდება. პარტიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა საქმე, გარდა ხალხის თავდადებული და უანგარო სამსახურისა.

სწორედ ამიტომაც არის, რომ დღეს, 13 ივნისს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სიხარულითა და ერთსულოვნებით მისცემენ ხმას პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილებს, იმათ, ვინც შრომით დაიმსახურა ნდობა და დიდი პატივისცემა.

ყველანი არჩევნებზე, ძვირფასო ამხანაგებო!

საკლესიო ცნობა

მიფრინავს ორბიტული სადგური „სალუტი“

ფრენის მართვის ცენტრი, 12 ივნისი. (საკლესი). დღეს 00 საათსა და 40 წუთზე ორბიტული პილოტირებული სამეცნიერო სადგური „სალუტი“ კვლავ შემოვიდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონაში. ფრენის მართვის ცენტრს მყარი რადიოკავშირი აქვს სადგურთან.

კოსმონავტები ამხანაგები. დობროვოლსკი, ვოლკოვი და პაცაევი თავს კარგად გრძნობენ. სადგურის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობენ.

ფრენის მართვის ცენტრი, 12 ივნისი. (საკლესი). მორიგი სამუშაო დღის განმავლობაში სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ ეკიპაჟი ასრულებდა სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტების პროგრამას. სპეციალური დოზიმეტრიული აპარატურის დახმარებით კოსმონავტები აწარმოებდნენ ექსპერიმენტებს, რათა მიეღოთ მონაცემები კოსმოსური ფრენის რადიაციული უსაფრთხოებისა და დოზიმეტრიული კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნის შესახებ. ამასთან განსაზღვრავდნენ კოსმოსური რადიაციის სხვადასხვა კომპონენტით შემოსხივების დოზების სიდიდესა და გაძლიერების დინამიკას.

კოსმონავტები აკვირდებოდნენ გულისა და სისხლძარღვების სისტემის მდგომარეობას, აგრეთვე ფუნქციონალურად სინჯავდნენ გარეგან სუნთქვას, გაზთცვლასა და ენერგოდანახარჯებს. კოსმონავტები ამოწმებდნენ მხედველობითი ანალიზატორის სინათლისა და კონტრასტულ მგრძნობიარობას ცვალებადი სიკაშკაშის პირობებში.

დღის პროგრამით მუშაობის დროს კოსმონავტებმა გადაიღეს სხვადასხვა ატმოსფერული წარმონაქმნების ფოტოსურათები, ამასთან იყენებდნენ სხვადასხვა ფოკუსური მანძილის მქონე ფოტოაპარატურას.

რადიოკავშირის სეანსების დროს კოსმონავტებმა ამხანაგებმა დობროვოლსკიმ, ვოლკოვმა და პაცაევმა მოაწყეს სატელევიზიო რეპორტაჟები, რომლებშიც განაგრძობდნენ სადგურ „სალუტის“ აღწერას, რაც დაიწყეს ტელემაყურებლებთან წინა შეხვედრების დროს. 14 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით სადგური „სალუტი“ გასცდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიომხედველობის ზონას.

მიფრინავს „კოსმოს-427“

1971 წლის 11 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-427“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საკლესი).

დღეს აღსწაულობენ მსუბუქი მრეწველობის მუშაკები

ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეს.

დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის შუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ღვთაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა მ. ჩხეიძემ.

სხდომაზე გამოვიდნენ კამოლმაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მქსოველი მ. ბარათაშვილი, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორი გ. გამცემლიძე, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მოწინავე ამომჭრელი გ. რიმნისთაველი და თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი თ. გელიტაშვილი.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქლესი).

13 ივნისი მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა

ალჟირში, შვეიცარიაში, ბირმასა და მრავალ სხვა ქვეყანაში დიდი მოწონებით სარგებლობს გორის ბამბეულის კომბინატის მიერ გამოშვებული ქსოვილები „მაია“ და „მიმოზა“. უკანასკნელ წლებში საწარმო აღიჭურვა ახალი დაზგებითა და მოწყობილობით, იგი მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

სურათებზე: მარჯვნივ — მოწინავე მქსელავი შურა ლომსაძე, რომელიც დავალებებს 120 პროცენტით ასრულებს; მარცხნივ — ოსტატის თანაშემწე ბ. ლიტოიგინი ახალგაზრდა მქსოველებს დარეჯან ცილიკაშვილსა და ნინო ქარაულს ეხმარება ახალი დაზგის დაუფლებაში.

ფოტო რ. კაპკარავასი (საქლესის ფოტოქრონიკა).

3. ი. ლენინის ნაწარმოებთა ახალი გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით გამოუშვა ვ. ი. ლენინის რჩეული ნაწარმოებთა ახალი სამტომეული. იგი მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა პარტიის ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად.

გამოცემაში შესული ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ნაწარმოებები განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, სამი ნაწარმოების გარდა, რომლებიც ეძღვნება მარქსიზმს: „კარლ-მარქსი. მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გამოცემითურთ“, „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“, „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“. ამ ნაწარმოებებით იხსნება პირველი ტომი.

ყველა ნაწარმოები იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ტექსტის მიხედვით. (საკლესის კორ.).

უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის კლენუმების რეზოლუციებზა და გადაწყვეტილებებში

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მეხუთე ტომი დოკუმენტებისა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“. ეს არის მერვე, შვიდსტომეული გამოცემა. მეხუთე ტომში შევიდა პარტიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები 1931 წლის თებერვლამდე. ამ წლების მანძილზე საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა გამარჯვება. როზელსაკ ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: განხორციელდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სოციალისტური რეკონსტრუქცია. ძირითადად აშენა სოციალისტური საზოგადოება და შევიდა სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში. ტომის ყველა დოკუმენტი ქრონოლოგიური წესითაა განლაგებული. (საკლესი).

კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში

11 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს რაულ როა გარსიას.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. (საკლესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სირიაში გაემგზავრა

სირიის არაბთა რესპუბლიკის სახალხო საბჭოს მოწვევით 12 ივნისს მოსკოვიდან დამასკოში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით წავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. მ. მატჩანოვი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრი ა. ვ. სიდორენკო, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ე. კაბალოევი, ხარკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ბ. ბეზდეტკო, სოჭის სანატორიუმ „ზარიას“ სამედიცინო განყოფილების გამგე ვ. ვ. დმიტრიევი, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი გ. ი. ქადაგიძე. (საკლესი).

მთვარის გრუნტის ნიმუშების გაცვლა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს შეთანხმების შესაბამისად 10 ივნისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში გაცვალეს მთვარის გრუნტის ნიმუშები, რომელიც დედამიწაზე ჩამოიტანეს „ლუნა-16“ საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა და „აპოლონ-11“ ამერიკის კოსმოსურმა ხომალდებმა.

მთვარის გრუნტის ნიმუშების გაცვლა ორივე ქვეყნის მეცნიერებს საშუალებას მისცემს მოახდენონ შედარებითი ანალიზი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლაბორატორიებში. მათ საშუალება ექნებათ გამოიკვლიონ მთვარის ზედაპირის სხვადასხვა უბნიდან ჩამოტანილი მთვარის ქანების ნიმუშები. (საკლესი).

ჯილდოები გამარჯვებულებს

საბჭოთა საზოგადოებრიობის ოთხი ათასზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ვიქტორინაში. მათ უნდა ეპასუხათ შეკითხვებზე სოციალიზმის მშენებლობაში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევების, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ.

მოსკოვის მეგობრობის სახლში გაიმართა კონკურსის გამარჯვებულთა დასახელების ცერემონია. კონკურსში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების იქვსმა აქტივისტმა.

ეიერის თავმჯდომარემ — საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ნ. მედვედევმა პირველი პრემია — უფასო საგზური ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში გადასცა მოსკოვის ოლქის ქალაქ კოლომნის იქმის ნ. ავრამენკოს. დანარჩენებმა მიიღეს პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები. (საკლესი).

მექანიზატორთა შეჯიბრება

ვიწვევ ინიციატორს

□ 12 სამუშაო დღეში უდანაკარგოდ ავიღოთ პურეული! □ დაუზვინავი არ დავტოვოთ ნამჯა! □ ნაწვერალზე ვთესოთ სასილოსე კულტურები! □ განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა!

გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გავეცანი ხიდნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერის გ. ლათიბაშვილის წერილს, რომელმაც საქართველოს მექანიზატორებს მოუწოდა ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის პირველი წლის პურეულის უხვი მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის, ნამჯის დროულად შეგროვებისათვის, ნაწვერალზე სასილოსე კულტურების თესვისათვის, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

ტიბაანელი მექანიზატორის ამ პატრიოტულ თაოსნობას იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი მექანიზატორები. ამასთან დაკავშირებით ვიკითხოთ ახალი, გადიდებული ვალდებულებანი. სულ მალე ჩვენთანაც დაიწყება პურეულის მოსავლის აღება. პირობას ვდებთ, რომ უხვ მოსავალს უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში ავიღებთ. არ დავკარგავთ არცერთ კილოგრამ მარცვლისა და ნამჯას. მოსავლის აღების პარალელურად ნაწვერალზე ნაცვლად 500 ჰექტარისა 600 ჰექტარზე დავთესავთ ხასილოსე სიმინდს.

პირადად მე სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ თვით ინიციატორს — ტიბაანელ კომბაინერს გ. ლათიბაშვილს და ვალდებულებას ვკისრულობ 12 სამუშაო დღეში პურეული ავიღო 250 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე ბუნელეწო 22 ცენტნერი მარცვალი. დავზომო ნაწვავის 10 კილომეტრი.

ვ. კაკალაშვილი,
წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

ჩვენს დიად სამშობლოში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

... ...

ხალხის ხელისუფლება

აი რატომ ვაძლევ ხმას

არსად, არცერთ სახელმწიფოში ისე არ არის დაფასებული ადამიანის შრომა, როგორც ჩვენს ქვეყანაში. შორს არ წავალ, პირადად ჩემი და ჩემი მეგობრების მაგალითს ავიღებ.

პარტიამ და მთავრობამ უდიდესი შეფასება მისცეს ჩემს შრომას და ლენინის ორდენით დამაჯილდოს. ჩემი შრომა აღრეც სათანადოდ ფასდებოდა და არაერთხელ მიმიღია საპატიო ჯილდოები.

ახლა ჩემი მეგობრების შესახებ. ბევრ მეტალურგს ირჩევენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად. სხვადასხვა დროს დეპუტატებად არჩეული იყვნენ ჩემი ამხანაგები ა. ფანცულაია, შ. შუბითაძე, გ. მაღლაფერიძე, გ. სებისკვერაძე, მ. სპანდერაშვილი და სხვები. ბევრი მეტალურგის მკერდს ამშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი.

ასეთებია ა. ძმაშვილი, ვ. კობერიძე, ა. ფანცულაია და სხვები. რუსთაველი მეტალურგები ლენინური პრემიის ლაურეატებიც არიან.

დღითიდღე იზრდება და ლამაზდება ჩემი ახალგაზრდა ქალაქი — რუსთავი. სართულებს სართულები ემატება, კვარტალებს — კვარტალები. მწყობრში დგება ახალი ქუჩები და პროსპექტები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. ჩვენი კულტურისა და დასვენების პარკი ერთ-ერთი ულამაზესია საბჭოთა კავშირში. გვაქვს სპორტული მოედნები, მრავალი საშუალო და საღამოს სკოლები, კულტურის სასახლე, სტადიონი, მეტალურგიული და ქიმიური ტექნიკუმი, მუსიკალური სკოლები და მუსიკალური სასწავლებელი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს ფაკულტეტი, მრავალი სამედიცინო და კულტ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა სატროლეიბუსო ხაზი, რამაც მთლიანად მოაწესრიგა ქალაქის მშრომელთა ტრანსპორტით მომსახურება.

მაგრამ რაც უკეე გაკეთებულია, წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც გაკეთდება მომავალში. სკკპ XXIV ყრილობამ დაამტკიცა ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ახალ ამოცანებს გვისახავს. ქართველმა მეტალურგებმა 30 პროცენტით უნდა გავზარდოთ პროდუქციის წარმოება. ამასთან მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ შრომის ნაყოფიერებისა და თვითღირებულების შემცირების მაჩვენებლები. ჩვენს ღუმელზე, ისე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადა დიდი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას.

ახალი ხუთწლედი ახალ წარმატებებს გვპირდება: აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ასეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, კულტურისა და დასვენების პარკი, მრავალი სპორტული მოედანი.

ახალი ხუთწლიანი გეგმით მნიშვნელოვნად გაიზრდება ადამიანების რეალური ხელფასიც, ამაღლდება ცხოვრების მატერიალური დონე. და ეს ყველაფერი ჩვენთვის არის, რიგითი ადამიანებისთვის, ჩვენ თვითონა ვართ ჩვენივე ბედის შემოქმედი.

აი რატომ ვაძლევ ხმას ჩვენს ღირსეულ კანდიდატებს,.

აი რატომ მომიხარია საარჩევნო უბნისაკენ.

გ. ბერეკაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, ლენინის ორდენოსანი.

სურათებზე: (ზემოთ) თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 11 საარჩევნო უბანში ყველაფერი მზად არის ამომრჩეველთა მისალებად; ქვემოთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც პირველად მონაწილეობენ არჩევნებში — თ. წულუკიძე, მარცხნიდან, ქ. ლომაძე, გ. გონაიძე, თ. აბულაშვილი, მ. ჯუღელი, ბ. ჩოგოვაძე, ვ. ლევიძე, მ. ბურკულაძე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ენთუზიაზმით

ყოველთვის, როცა საარჩევნო კამპანია ახლოვდება, თვითეული ჩვენგანი ცდილობს უკეთ იშრომოს. ეს ჩვენთვის უკვე ტრადიციად იქცა. ასეა ახლაც. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში საწარმოს კოლექტივი განსაკუთრებული ენთუზიაზმით შრომობდა, რომ ღირსეული მაჩვენებლებით გვეპატიჟა ამ დღისათვის. დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც კენჭს იყრიან ჩვენს საარჩევნო უბანში, შრომითა და ცხოვრებით ყველა ჩვენგანისათვის სამაგალითო ადამიანები არიან. ჩვენ ვცდილობთ მათ მივბაძოთ, ვიყოთ ღირსეულნი.

საარჩევნო უუთთან პირველად როდი მივდივარ, მაგრამ ისეთივე მღელვარება მიპყრობს, როგორც მაშინ, როცა ჯერ კიდევ ვაბუკმა პირველად მივეცი ხმა ხალხის არჩეულთ. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. მეც ვიყავი დეპუტატი, ბევრი ჩემი მეგობარიც, კოლეგაც ჩაება ამ საპატიო საქმიანობაში. ყოველთვის ვგრძნობდით დიდ პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, ვცდილობდით გაგვეკეთებინა მაქსიმუმი იმისა, რისი გაკეთებაც კი ერთ ადამიანს შეუძლია. იყო ხალხის რჩეული— დიდი პატივია, და მოვალე ხარ გაამართლო ნდობა, შენმა მეგობრებმა, კოლეგებმა, ხალხმა რომ გამოგიცხადეს. მაგრამ არანაკლებ საპატიოა მისცე ხმა ამ ღირსეულ ადამიანებს! ამიტომ ერთსულოვნად მივცემთ მათ ხმას, რომ ჩვენი დამხმარე, მოამაგე და წინამძღოლი იყვნენ.

გ. ჰეფხოშვილი,
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გადამჭიმავი, სოციალისტური შრომის გმირი.

ნამდვილად სახალხო

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ჩვენში ნამდვილად სახალხო არჩევნებია. ყოველ პატიოსან შრომელს შეუძლია აირჩიოს და არჩეულ იქნას უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მშრომელები თვითონ არიან თავიანთი ბედიღბლის, ჩინებული აწმყოსი და უფრო უკეთესი მომავლის გამომჭედლები, ბატონ-პატრონები.

სულ ახლახან ვიზეიმეთ საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ამ დიდი თარიღისათვის შეჯამდა, თუ რა გაგვიკეთებია და რის გაკეთებას ვფიქრობთ. საბჭოთა საქართველო მთელი საბჭოეთის ძმურ ოჯახში ეკონომიურად უფრო გაძლიერდა, გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ჩვენი მშრომელები ახლა ბედნიერად ცხოვრობენ და გულდაჯერებით აშენებენ კომუნიზმს. ამ ჩემი სიტყვების ნათელსაყოფად მოვიყვან თვით ჩვენი სოფლის მაგალითს. ველისციხე წინათ ერთი ჩამორჩენილი სოფელი იყო, ვიწრო, ტალახიანი ქუჩებით, სულ რამდენიმე კაცს ჰქონდა წესიერი სახლი. ცხენის ეტლი იყო სატრანსპორტო საშუალება.

აბა ახლა ნახეთ განახლებული ველისციხე! იგი ნამდვილი ქალაქია! მოასფალტებული ქუჩების ორივე მხარეს კოხტა, კომფორტულად მოწყობილი ორსართულიანი სახლებია ჩამწკრივებული, სადაც ჩვენი კოლმეურნეები ბედნიერად ცხოვრობენ, თითქმის ყველა კოლმეურნეს აქვს რადიო და ტელევიზორი, ელექტრობა, პირად სარგებლობაში სხვადასხვა მარკის ასობით მსუბუქი ავტომანქანა, თითქმის ყველა ოჯახს ამშვენებს საუკეთესო ხარისხის ავეჯი, პიანინო და სხვ.

სოფლის ცენტრი ნამდვილი თანამედროვე ქალაქის მოედანს ჰგავს. აქ არის ადმინისტრაციული სახლი, კინოს, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებანი, საავეჯო ცენტრი, სოფელში არის საშუალო სკოლა, საავადმყოფო, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალური სასწავლებელი, სპორტული მოედნები და ბევრი სხვა.

სოფლის მშრომელებს შრომაც უყვართ და კულტურული გართობა-დასვენებაც. ბაღ-ვენახებში შრომის შემდეგ კულტურული გართობა-დასვენებისათვის ისინი შორს როდი მიდიან, სოფელში ყოველგვარი პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ იშრომონ, ისწავლონ და ბედნიერად იცხოვრონ. ეს ყველაფერი მოგვტანა საბჭოთა ხელისუფლებამ, ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ.

დღეს ჩვენი სოფლის მშრომელები ერთსულოვნად გამოცხადდებიან საარჩევნო უუთთან და სიხარულით მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ნამდვილად სახალხო კანდიდატებს, თავიანთ რჩეულებს. ამით ისინი ერთხელ კიდევ დაადასტურებენ თავიანთ სიყვარულსა და ერთგულებას მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

დ. მამისაშვილი,
გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

სიამაყის გრძნობით

ეს-ეს არის შემისრულდა 18 წელი და ახლა უკვე სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ. უფლება მეძლევა მონაწილეობა მივიღო არჩევნებში.

კარგად მესმის, რომ მოქალაქეობრივ სიამაყესთან ერთად ეს დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს. წელს ვამთავრებ საშუალო სკოლას და მომავალი ცხოვრების გზა უნდა ავირჩიო. გადაწყვეტილი მაქვს ინჟინერ-ტექნოლოგი გავხდე. ვიცი, წელს უმაღლეს სასწავლებელში დიდი კონკურსი იქნება. მისალები გამოცდების ჩასაბარებლად გულმოდგინედ ვემზადები. მაგრამ თუ კონკურსში ვერ გავიმარჯვე, გულს მაინც არ გავიტეხ. ვიმუშავებ და მომავალი წლისათვის უკეთ მოვემზადები უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელი გამოცდებისათვის. ასევე ფიქრობს მრავალი ჩემი თანატოლი, რომლებიც წელს ამთავრებენ საშუალო სკოლას.

დღეს სიხარულით გამოვცხადდები საარჩევნო უბანში და ხმას მივცემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს, ამით ხმას მივცემ მთელი ჩვენი ხალხის შემდგომ წინსვლასა და გამარჯვებას, ჩვენი ახალგაზრდობის ნათელ მომავალს.

გ. ლოლაშვილი,
ახალგაზრდა ამომრჩეველი.
ქ. თბილისი.

ნაფარეულლითა რჩეული

რეპორტაჟი

მთელი სოფელი საზეიმოდ არის მორთული. ნაირფერად გადაპენტილი ვარდების ფონზე ამაყად ფრიალებს ალისფერი დროშები. სოფლის ცენტრში და გზაჯვარედინებზე შორიდანვე მოჩანს წარწერა — „13 ივნისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე. ყველანი არჩევნებზე!“

ამ დღეებში მუდამ ხალხმრავლობა იყო ამომრჩეველთა კლუბში. აქ მოდიოდნენ კომუნისტური შრომის მევნახეობის საბჭოთა მეურნეობის, ღვინის ქარხნის, საავტო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშები და მოსამსახურეები, მასწავლებლები და ექიმები, დიისასლისები. ისინი ეცნობოდნენ კლუბში გამოფენილ სტენდებსა და დიაგრამებს, რომლებიც ასახავენ დიად სახეცვლილებებს, რაც განიცადა ჩვენმა რესპუბლიკამ, რაიონმა და თვით სოფელმა ნაფარეულმა 50 წლის განძილზე. სადღაა მიხვეულ-მოხვეული, ოღროჩოღრო გზები და ორღობეები, წვიმიან დღეებში გაუვალი რომ ხდებოდა! ყველა მათგანი გაფართოვდა, გასწორდა, შაი საფარით დაიფარა ან მოისრესა. ინდივიდუალური საცხოვრებელი ქოხმახები კი ორსართულიანმა ფართოპანანმა სახლებმა, ხოლო მუშათა ბარაკები მრავალსართულიანმა კეთილმოწყობილმა საცხოვრებელმა შენობებმა შეცვალა.

სოფელმა ჭეშმარიტად რომ სახე იცვალა, და ეს ფერისცვალება ყველაზე შესამჩნევი ბოლო ოთხ წელიწადში გახდა. სოფლის მშვენებაა შესანიშნავი პრეზიტიუ ნაკეთი კულტურის სასახლე 500-ადგილიანი დარბაზით, იგი შარშან გადაეცა საექსპლოატაციოდ. უკანასკნელ წლებში სოფელს შეემატა საშუალო სკოლის ახალი შენობა, ორსართულიანი უნივერსალური მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, მექანიზებული პურის საცხობი; საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ქუჩები დამშვენდა ლამპიონებით, ამენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, ქუჩების გასწვრივ და კარ-მიდამოებში დაირგო ათასობით ხე და ბუჩქი.

შეიცვალნენ ადამიანებიც. ახლა სოფელში წერა-კითხვის უცოდინარი აღარავინ არის, უმაღლესი ან საშუალო განათლების მქონენი კი რამდენიც გნებავთ.

იმატა ხვავმა და ბარაქამ. ყოველწლიურად იზრდება საბჭოთა მეურნეობის შემოსავალი, მაღლდება მუშის ცხოვრების დონე. 1184 ჰექტარი უჭირავს ნაფარეულის კომუნისტური შრომის მევნახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებს. თავდადებით ირძვიან მევნახეები ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის. მათ პირობა დადეს წელს გეგმით გათვალისწინებული 5.800 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარონ სულ მცირე 6.000 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. პირობის შესასრულებლად კი ძალ-ღონეს არ იშურებენ. სუკეთესოდ უვლიან ვაზს და იმედოვნებენ ვალდებულება გადაჭარბებით შესასრულონ.

სოფლის ყველა სასიკეთო საქმის მოთავეები და აქტიური მონაწილენი არიან სასოფლო საბჭოს დეპუტატები, რომელთაც უნარიანად ხელმძღვანელობს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ლენინის ორდენოსანი ზიზი ხოლუაშვილი, იგი ახლანდელ არჩევნებშიც სოფლის მშრომელებმა წამოაყენეს სარაიონო და სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მათ სწამთ, რომ ხალხის რჩეული კვლავაც გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას. დეპუტატთა მრავალი წამოწყება განხორციელდება ახალ ხუთწლედში და კიდევ უფრო მკვეთრი გახდება ნაფარეულის ფერისცვალება.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ვასტანგ გორგანელი

ხალხის ხმა

როგორც კი დილა ინათებს,
ნისლს გაჰკვეთს სხივთა ისარი,
ფრთა ფრთას რომ ორი შემოჰკრავს,
აი ჩემი ხმა ის არის.

სხივი რომ ცვარ-ნამს აკრიფავს,
ვაჟკაცს დალოცავს ცისკარი,
ცელი რომ გაიწკრიალებს,
აი ჩემი ხმა ის არის.

რომ დაიქუხებს საყვირი,
გული მე მაშინ მიხარის,
გრდემლზე რომ ურო ეცემა,
აი ჩემი ხმა ის არის.

ეს ხმა მშვიდობის ხმა არის,
მშვიდობამ რომ გზა გვინათოს.
ყანაში მდგარმა ვაჟკაცმა
აბა სხვა რაღა ინატროს!

ეს ხმა სალხინო ხმა არის,
ამ ხმაში მთვარე ბინადრობს.
ქორწილში სიძე-მაყარმა
აბა სხვა რაღა ინატროს!

ეს ხმა სიცოცხლის ხმა არის,
რომ კვლავ ინაროთ, იებო.
აკვანთან თქმულმა ნანინამ
აბა სხვა რაღა ინებოს.

ამ ხმას შენ გაძლევთ, ვაჟკაცო,
გასწი; იარე, მოგყვებით,
კვლავაც წინსვლა და შენება,
კვლავაც სიმრავლე მოყვრების!

ვ. ხუციურაული

ასი წლის ეროსუცის ამბავს...

მომატებია მზეს სითბო,
გულებს ხალისი ახალი,
ასი წლის მოხუციც ამბობს:
გრძნობა მიტაცებს მაღალი.

აბა შინ როგორ დავრჩები!
მეც ხალხში გასვლა მწადია,
მინდა ამ ხელყავარჯენით
პირველი შევხვდე განთიადს.

თმებდათოვლილი მოხუცი
ამბობს: ინარეთ შვილებო,
ამ ჩემ ხმას ხალხის რჩეულებს
თანაბრად ვუნაწილებო.

გზებს კვალდაკვალ მიჰყვება სინათლე

ახალი ხევსურეთის სიცოცხლე

ისევ ზაფხული, ისევ ხევსურეთი, ნაირფერებით მოხატული მთები და ხეები, ცაში მოფარფატე თეთრი ნისლები. ეს-ეს არის წვიმამ კადაიღო და მილიარდ მარგალიტებად გაბრწყინდნენ წყლის წვეთები. უკეთეს სანახაობას კაცი ვერ ინატრებს, ყველგან სიცოცხლე ჩქეფს ტკბილი და ხალისიანი, ქვემოთ, შატილ-ბარისახოს გზაზე გუგუნებენ ავტომანქანები, ნელა მიიწევს წინ ცხვრის ფარა, მთები იფარებიან თეთრი ტალღებით, რომლებიც დაჩრუალა ნოღაეთის ტრამალებიდან და კახეთის მინდვრებიდან, ისმის ცხენის ჭიხვინი, ქალის კისკისი, ბავშვების სიმღერა.

მე და გადუა ჭინჭარაული, სოფლის უხუცესი ადამიანი, სასოფლო საბჭოს წინ ბანდად გავყურებთ სანახაობას. გადუა თავისი კუთხის პატრიოტია, ვინ მოთვლის რამდენ ლეგენდას, ლეგენდა და თქმულებას იტევს მისი გონება, თავის ასაკთან შედარებით მეტად ახალგაზრდად გამოიყურება, თეთრი ულვაშები კოხტად აქვს დაყენებული. სპილენძისფერ სახეზე დრდადრო ღიმილი უთამაშებს. სიმართლე გითხრათ, მისი დეკანოზობის ამბავი მეეჭვება კიდეც, სრულიადაც არა ჰგავს მარხულ კაცს, პირიქით უყვარს „მიწიერი ამბები“, ახლაც ხალისიანად ჰყვება: — ბევრ მაქვს ლექსები ჩაწერილი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ხშირად ამოდის აქ თავისი გუნდით, ჩემი სურათი მუზეუმში აქვთ.

გადუამ ჩამომთვალა ხევსურეთის ყველა სატა. თვითეული სოფელს თავისი ჰყავსო, თქვა და მერე ისიც ამოხსნა, თუ რატომ ჰქვია ამ სოფელს გუდანი...

ჩვენს გარშემო ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი. სიტყვა ახალგაზრდობა ძაღზე მიესადაგება აქაურებს და აქაურობას. გუდანის სასოფლო საბჭო ყველაზე ახალგაზრდაა ჩვენს რეპუბლიკაში, იგი შეიქმნა მხოლოდ სამეოდე თვის წინათ, ოცდაშვიდი წლისაა მისი თავმჯდომარე ტარიელ არაბული, ახლახან თვრამეტი წელი შეესრულდა საბჭოს აღმასკომის მდივანს გელა ჭინჭარაულს, იგი პირველად მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას და პირველად იყრის კენჭს სასოფლო საბჭოს დეპუტატობაზე.

სასოფლო საბჭოს აღმასკომს ჯერ საკუთარი ბინაც არ გააჩნია, იგი შეფარებულია მიხეილ ჭინჭარაულის ჭერსხოს ქვეშ, მაგრამ მალე აქაურობას დაამშვენებს კოხტა ფინური სახლი, რომლის მასალა უკვე მოტანილია სოფლის ფერდობზე. გუდანს საფერმლო პუნქტიც ექნება და ბიბლიოთეკაც, მაღაზიაც და ვეტპუნქტიც, დეკემბრული ნაბიჯებით უახლოვდებიან გუდანს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ბოძები, ისინი აღიმართნენ ბეჩუკურთას, ჩირდილს, ქვემო და ზემო ბარისახოს, მაგრამ საქმე რატომღაც გვიანდეთში, შეფერხდა, ალბათ ეს დროებით. ბაიალის მცირე დრო, და გუდანში აღიმართება ხევსურთა კომპაქტური სოფელი, სადაც თავს მოიყრიან ღუელები, ჭიელი, ჭორმეშაველი და ძეძეურთელი ხევსურები, ეს იქნება თანამედროვე ტიპის სოციალისტური სოფელი კულტურული ცხოვრების ყველა სიკეთით.

გაეროთიანებული სოფლები გაშენდება აგრეთვე შატილში, მუცოსჭალაში, ბარისახოს, როშკას, ლიეოკისჭალაში, დათვისჭალაში, უკანაფშაგში, შუაფხოში, ხომისჭალაში, არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობაში, თიანეთის რაიონის სოფელ არტანში, ჭიაურაში, ქვემო შარახევში, ჩეკურაანთგორში. მარტო დუშეთის რაიონში აშენდება ხუთასზე მეტი ახალი საცხოვრებელი სახლი, ამასთან შენარჩუნებული იქნება მთის დასახლების არქიტექტურული მთლიანობა.

თბილისელმა რადისტებმა მარლენ გელოვანმა და შალვა ბორტიშვილმა გუდანის სასოფლო საბჭოში რადიოტელეფონი დადგეს. რადისტი გადუა ჭინჭარაულის პირველი გიორგი გასლავთ. გაღიმებული ხევსური ამაყოფილებით ამბობს: — უკვე ვილაპარაკე შატილს, დუშეთს, თბილისს, სრუ ავიძრახეთ მთელ ქვეყანა...

ახლა გუდანში კი არა, მთელ ფშავ-ხევსურეთში არ არის კაცი, რომელსაც არ ახარებდეს რეპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ჭეშმარიტად დიდი ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება, რომელიც მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ამ ახალი ამბის მაცნენი არიან თავიანთი საგიტაციო უნებებში გუდანელი აგიტატორები — საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბათირა ალუდაური, გიგია არაბული, მასწავლებლები ივანე ქეთელაური, რობინზონ წიკლაური, ქუეფუნა წიკლაური, ექიმის თანაშემწე თამარ ჩიტოშვილი, ფოსტალიონი წიქა არაბული, რომელთა საუბრების ყოველთვის დიდი ინტერესით ისმენენ ხევსურები, ახალმა ცხოვრებამ აგიტატორად აქცია დეკანოზი გადუა ჭინჭარაულიც.

აბა მოვისმინოთ, კიდევ რას გააკეთებს საბჭოთა ხელისუფლება ამ მხარის მთიელთათვის ახალ ხუთწლედში?

ძველი რომაელები ამბობდნენ: — ვია ვიტა (გზა სიცოცხლეა). მართლაც, ახალი ხევსურეთის სიცოცხლე, მისი განუწყვეტელი მაჯისცემა და მთავარი ძარღვია შატილ-ბარისახოს საავტომობილო გზა, რომლითაც შარშან პირველი ავტომანქანები შეეიდნენ საქართველოს ჩრდილოეთის ძველ-ძველ ბასტიონში — შატილში.

არა! ამ სიკეთეს ვერ დაივიწყებენ არა მარტო თანამედროვენი, არამედ ჩვენი შვილთა შვილიშვილები. თაობიდან თაობას გადაეცემა.

გზათა მშენებლობა ახლაც არ წყდება. ბარისახოდან გუდანს რომ მივდიოდით, არაგვის ნაპირას, როშკისწყლის საცალფეხო ბილიკთან, ტილოს კარავი შევნიშნეთ, რომელშიც არავინ არ აღმოჩნდა. ტარიელ არაბულმა და ბარისახოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ აბა ლიქოკელმა გვითხრეს, რომ კარავი ინჟინერ-ტექნიკოსებისაა, რომლებიც როშკის საავტომობილო გზას აპროექტებენ, ყოველ დილით ადრე სამუშაოზე გადიანო.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით 1973 წელს დამთავრდება დათვისჯვარ-შატილის, მუცოსჭალა-შატილის და ბარისახო-როშკის საავტომობილო გზების მშენებლობა.

1971-1975 წლებში კეთილმოეწყობა საავტომობილო გზები ჩარგლის ხიდი — მიგრიაულები, შუაფხო-უკანაფშავი, ხარტიმოსჭალა-ხარტიშო, ალოთი — ვეეთი-ჩეკურაანთგორი, ჯიჯეთი-ვერხვეული, ტუშურები-ალაჩარი-წიქვლნაკარი, გოჯიანები-სხლოვანი, თიანეთი-საჭურე, დამთავრდება შარახევის, თვალეთის და ბულაჩაურ-ხეობის გზების რეკონსტრუქცია.

გზებს ფეხდაფეხ მიჰყვება სინათლე. ორ წელიწადში შატილში აშენდება ჰიდროელექტროსადგური, დამთავრდება თიანეთ-ჩარგლის მაღალვოლტიანი ხაზის მშენებლობა, ელექტრობა აკაშკაშდება მუცოსჭალაში, როშკაში, გუდანში, ხახმატში, ლიქოკისჭალაში, დათვისჭალაში, შუაფხოში, უკანაფშავში, ხომისჭალაში, ხარტიშოში. ელექტრობას მიიღებენ თიანეთის რაიონის სოფლები ჯერეალიძეები, ბიკონი, შარახევი.

სამუდამოდ დამარცხდება სიბნელე ფშავ-ხევსურეთში.

მეცხრე ხუთწლედში კულტურის სახლები გაიხსნება ბარისახოსა და მაღაროსკარში. აშენდება სასოფლო კლუბები შატილში, შუაფხოში, ხიობაში, შარახევში, ჩეკურაანთგორში, ღელოვანში, ბიბლიოთეკები — თვალეთში, ჯომეწარში, ახალციხეში, რომკაში, მუცოსჭალაში, გუდანში, ხახმატში, დავათში, ჭიაურაში, წიქვლიანთ-კარში, ალოთში, ქოხსამკითხველო-ბადაანში.

აიგება დაწყებითი სკოლები ფშავ-ხევსურეთისა და ივრისპირეთის 18 სოფელში, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები შუაფხოსა და მაღაროსკარში, გაფართოვდება ხეობის რვაწლიანი სკოლის შენობა.

შორს გაეთქვამს სახელი „ვაჟას წყაროს“, რომელიც ჩარგლის ჭალაში ამოჩუხჩუხებს. ზაფხულობით აქ ბევრი ხალხი იყრის თავს, მოდიან კახეთიდან, ქართლიდან, საქართველოს სხვა რაიონებიდან, აშენებენ დროებით კარვებს და პრიმიტიულად მკურნალობენ. ბევრი გამოჯანსაღებული წასულა აქედან და უნაგრია ამ ადგილას სამკურნალო დაწესებულების აშენება. ახლა ამ ოცნებასაც ფრთები ესხმება. აქ შენდება სამკურნალო პანსიონატი „ვაჟას წყაროს“ ბაზაზე. ამას გარდა, ხუთწლედში გაიხსნება სამეანო და საფერმლო პუნქტები ივრისპირეთის ზვიდ სოფელში, საფერმლო პუნქტები გაიხსნება დავათში, ამბულატორიები — შუაფხოსა და მაღაროსკარში, რეკონსტრუირებული იქნება ბარისახოს საავადმყოფო.

გაიხსნება ახალი მაღაზიები 6 სოფელში, პურის საცხობები ორ ადგილას, აშენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ბარისახოში, მაღაროსკარში, შუაფხოში, თიანეთის რაიონის სოფელ შარახევში, ჩეკურაანთგორში, ბოჭორმაში.

აიგება სასოფლო საბჭოს ახალი შენობები გუდანში, მაღაროსკარში, შუაფხოში, შატილში, ბოჭორმაში, შარახევში, ჩეკურაანთგორში.

ასეთია მოკლედ ის დიდი სიკეთე, რასაც ახალი ხუთწლედი მოუტანს ფშავ-ხევსურეთს.

ეჭვი არავის არ ეპარება იმაში, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილება თავის დროზე შესრულდება.

მე ვბედავ და სუბრობით ვეკითხები მოხუც ჭინჭარაულს: კი მაგრამ, რა გააკეთეს ხატებმა ხალხისათვის, თვითეულ მათგანს ხომ დევის ძალა აქვს, გადუას თქმით ხევსურეთში თორმეტი მთავარი ხატია, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს გადარჩენაში, მათი დროშები, (ბაირაღები) პირველნი მიუძღოდნენ მებრძოლ მთიელებს, მათზე დაფიცულ ხევსურს მტრებთან ბრძოლაში უკან არასდროს დაუხევიათ, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზეევ წვიმოდნენ თავისი მიწა-წყლისა და სამშობლოსათვის.

გადუა სდუმს, თვითონაც ალბათ უკვირს: მართალია, ხატები ძლიერი არიან, მაგრამ იმდენი შეძლება რადი აქვთ, სიღარიბე, სიბნელე და უმეცრება რომ დაემარცხებინათ.

ზის წიფლის ხმელ კუნძზე მოხუცი დეკანოზი და ჩემს შეკითხვაზე ემმაკურად ეღიმება, მან კარგად იცის ჩვენი ხალხის ახლანდელი ძალა, აგონდება წარსული.

გუდანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ტარიელ არაბული მალე დედაქალაქში ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდებს ჩააბარებს, იგი თბილისს გაემგზავრება ავტომუსით, რომელსაც ეწერება: „გუდანი-დუშეთი-თბილისი“.

კეთილი გულით მოიგონეს ხევსურებმა პაპა წიქა არაბული, რომელიც კარგა ხანს იყო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ ბაცალიგოში ოცდაათიან წლებში.

წიქამ, ერთგულმა კომუნისტმა და ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლმა კაცმა, წერა-კითხვა ხეირიანად არ იცოდა, უცოდინარი იყო საბჭოს მდივანიც. ამიტომაც წიქას ჭირივით სძულდა ყოველგვარი ცნობების შეთხზვა, მაგრამ ზოგჯერ იძულებული იყო გაეცა მოწმობა, რომელშიც მისი ხელით ეწერა: „მიეცა ეს ცნობა მასზე, რომ ეს კაცი (გვარისა და სახელის აღნიშვნა) პატიოსანი, სინდის-ნამუსიანი მიდის ძაუგს სიმინდის სასყიდლად და ხელი არავინ ახლოს... ვამოწმებ წიქა არაბული“.

ხევსურებმა თქვეს: ამის გახსენება წიქას არ ეწყინება, თვითონვე უამბნია წარსულში ჩვენი ბეჩაობის ამბავი.

...მალე ავტომანქანა ბარისახოსკენ დაეშვა.

ვიწრო ხეობაში მომწყვდეული არაგვი რაღაც საგულისხმოს მღეროდა იმ დღეს. მე დიდხანს ვფიქრობდი ხევსურეთის საოცარ ბედზე, მის მძიმე წარსულზე და ბედნიერ მომავალზე, ვიგონებდი გუდანელებს, რომლებიც დღეს ერთსულოვნად მისცემენ ხმას დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს, ხმას მისცემენ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას.

დარწმუნებული ვარ, საჭირო რომ გახდეს, ისინი საკუთარ გულსაც არ დაიშურებენ იმათთვის, ვინც ყველაფერს აკეთებს ხალხისათვის, ჩვენი ლამაზი ქვეყნის ბედნიერებისათვის.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
გუდანი, ხევსურეთი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — გუდანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტარიელ არაბული (მარცხნივ პირველი) თანასოფლელებს ესაუბრება ხევსურეთის ხვალინდელ დღეზე; მარჯვნივ — რადისტი ბ. ჭინჭარაული.

ფოტო ვ. ქისტაურისა.

13 ივნისი მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა

მსუბუქი ინდუსტრიის ახალი ნაბიჯი

მსუბუქი მრეწველობის მუშაკები ჩვენი სახალხო მეურნეობის მეტად მნიშვნელოვან უბანზე შრომობენ. მათი ამოცანები დღეს რთული და პასუხსაგებია. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის სწრაფმა ზრდამ კიდევ უფრო გააფართოვა მათი საქმიანობის სფერო. ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებასთან ერთად ენთუზიაზმით გაიშალა მუშაობა ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დღეს, როცა მსუბუქი მრეწველობის მუშაკები ზეიმობენ თავიანთ დღესასწაულს, ყველგან ჯამდება მიმდინარე საიუბილეო წლის განვლილ პერიოდში გაწეული შრომის შედეგები, მაღალი მაჩვენებლებით ივსება გეგმების შესრულების გრაფები.

ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს, საწარმოთა კოლექტივები ცდილობენ კონკრეტული ღონისძიებებით დააჩქარონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გაუმჯობესონ ნაწარმის ხარისხი. ამოცანები ძალიან დიდია.

გარკვეული სამუშაოები განხორციელდა ახალი სახის პროდუქციის შემუშავებისა და ათვისებისათვის. გაიზარდა ხელოვნური ბოჭკოს გამოყენებით ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვება. რესპუბლიკის მსხვილ საწარმოო გაერთიანებებში, მოდელებისა და დესინატორული სამსახურის ექსპერიმენტულ ბაზებში ჩვენი მხატვრები, მოდელიორები, კოლორისტები, კონსტრუქტორები ქმნიან ახალი სახის ქსოვილებს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს.

მომხმარებელთა თანამედროვე მოთხოვნის გათვალისწინებით გამოშვებულია ახალი არტიკულის დეკორატიული ქსოვილები და ახალი სახის ფართო მოხმარების საგნები, რომლებიც მაღალი შეფასება დაიმსახურეს საამხანაგო საბჭოს სხდომებზე, ხოლო 95 ახალი სახის ნაკეთობა დამზადდა საკავშირო მუდმივი პავილიონის საქართველოს ფილიალის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით. ასეთია, მაგალითად, აბრეშუმის საკაბე და საპერანგე ქსოვილი, ბალის საპალტო, ვისკოზური აბრეშუმის სასარჩულე ქსოვილი, ელასტიკური ნახატოვანი წინდები, ხელოვნური ბოჭკოდან დამზადებული სამკერვალო ნაწარმი, ახალი მოდელის ფეხსაცმელი და სხვ.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოები წელს ძირითადი გეგმის მიხედვით გამოუშვებენ 6,5 მილიონი მანეთის ნაწარმს. პროდუქციის სიაში შეტანილია ახალი და გაუმჯობესებული სახის ნაკეთობანი, აგრეთვე ისეთი საქონელი, რომელზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა, მაგალითად, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებამ დაამზადა აბრეშუმის ახალი ქსოვილები „გია“ და „საბავშვო“, თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატმა შეიმუშავა შემსუბუქებული დრაფის ახალი ქსოვილი ქალებისათვის — „საქართველო“. სავაჭრო ორგანიზაციებმა მიიღეს გორის ბამბეულის კომბინატის ახალი ქსოვილები; თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა გამოუშვა ახალი მოდელის პერანგები ქალებისათვის. თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკამ დაამზადა აბრეშუმისა და ბალის ახალი კაბები გოგონებისათვის, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“ უშვებს ქალის მოდელურ და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფეხსაცმელს, ხოლო ტყავ-საგალანტერეო ფაბრიკამ გამოუშვა სხვადასხვა სუვენირები, ჩანთები, ფართო ასორტიმენტის საგალანტერეო ნაწარმი. მაღალი გემოვნებით შესრულებულია ავრეთვე ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის ნაწარმი.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკები განუხრელად ზრუნავენ ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელი წლების მანძილზე საწარმოებში დაიდგა 5 ათასამდე თანამედროვე ტექნოლოგიური დაზგა-დანადგარი, 30-მდე ავტომატზეშენული ხაზი, სრულყოფილია საწარმოო პროცესები, მათი კონტროლის ფორმები და მეთოდები, სამინისტროს მიერ დასახული ღონისძიებები უახლოეს მომავალში ითვალისწინებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის აყვანას საუკეთესო სტანდარტების დონემდე.

პროდუქციის გამოშვების ზრდა და პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება ძირითადად კვლავაც განხორციელდება საწარმოთა შემდგომი სპეციალიზაციის, ტექნიკური აღჭურვილობის განახლების საფუძველზე.

მიმდინარე ხუთწლედში სრული სიმძლავრით ამუშავდება ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 28 მილიონი მანეთის საგალანტერეო ნაწარმს გამოუშვებს, მექანიკური სათამაშოებისა და მიკროელექტრონიკის ქარხანა ცხინვალში, შუთაევრის ტყავეფლელეულის ქარხანა, ფაიფურ-ქაშანური ქარხანა ზუგდიდში, რომელიც ხუთწლედის ბოლოსათვის უკვე 25 მილიონ ცალ ნაწარმს მიაწვდის მომხმარებელს, თბილისის მოდელური ფეხსაცმლების ფაბრიკა, შუთაევრის მატყლის სარეცხი წარმოება, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სამღებრო გამომყვანი წარმოება. გაფართოვდება ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კულაშის საქსოვი ფაბრიკა, ქუთაისის № 2 სამკერვალო გაერთიანების ფაბრიკა, თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატი და სხვ.

მ. ჩხეიძე,
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები საზეიმო ვითარებაში გადასცეს კავშირგაბმულობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამსახურის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, სპეციალისტებს, ხორცისა და რძის მრეწველობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკებს, რომლებმაც მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კმაჭაძემ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ლელაშვილმა ლენინის ორდენი გადასცა თბილისის რკინიგზის სახარისხებელი ფოსტამტის საფოსტო ვაგონის უფროსს ს. კმანტალინას, თბილისის გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციის ბურღვის ოსტატს შ. ბერსენაშვილს, თბილისის ხორცკომბინატის მუშას ს. ზიკლაურს.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიიღეს თბილისის რადიოსატრანსლაციო ქსელის მონტიორმა ს. ამირეზაშვილმა, თბილისის ფოსტამტის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსმა ა. რამიშვილმა, თბილისის გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციის ბურღვის ოსტატმა მ. ჯიმშვილმა, ორგანულ-თერაპიული პრეპარატების ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ა. თორიძემ და სხვებმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღეს თბილისის ტელეგრაფის ტელეგრაფისტმა ა. ტოგონიძემ, კომპლექსური თემატური ექსპედიციის პარტიის უფროსმა ს. ზედგინიძემ, თბილისის ხორცკომბინატის მუშამ ა. ალექსანდრა და სხვებმა.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი მიიღო თა და მედლებით გულრიფშის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მერვე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჯილდოები გადასცა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ.

დაჯილდოებულთა სახელით კრებაზე გამოვიდნენ სოფელ აზანთის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ჩაკვეტაძე, სოფელ ბაგიეიფშათის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ზ. აჩოთა მწვანე ნათურა: რაკეტები მზად არიან საბრძოლო მოქმედებისათვის. სროლასავით გაისმა მოკლე ბრძანება: „გამგება“!. ფრთიანი სიგარა ციცხლის ისარივით აიჭრა ცაში. ინდიკატორის მოცამციმე ეკრანზე კარგად ჩანს, როგორ ავითარებს იგი სიჩქარეს და უახლოვდება მიზანს. შემდეგ ინდიკატორზე ვერცხლისფერი წერტილები გაიფანტა. ეს მანქანის ნამსხვრევებია. მიზანი მოსპობილია!

ოსტატურად ისვრიან მერაკეტები. სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში დივიზიონმა წარჩინებულის წოდება მოიპოვა. ჯარების წვრთნის „სამხრეთის“ მზადების დროს პირადმა შემადგენლობამ წარმატებით მოაწყო საბრძოლო სროლა. ყველა მეომარი კლასის სპეციალისტია. ისინი კარგად მოქმედებენ ერთმანეთთან ჯგუფურად, დაეუფლნენ ერთ-ორ მონათესავე სპეციალობას.

ქვეგანაყოფში ბევრია კარგად მომზადებული, დიდად განათლებული მეთაური, ზუსტი სროლის ნამდვილი ოსტატი. აი ერთ-ერთი მათგანი — ლეიტენანტი ანატოლი დრემუხი. მან ხელსაწყოთმშენებლობის ინსტიტუტი დამთავრა და სპეციალობით რადიოინჟინერია. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს არმიაში — საპატიო თავდაცვის ჯარებში მსახურობს. თავდაპირველად ანატოლის გაუჭირდა: გამოცდილება აკლდა. დაეხმარნენ უფროსი ამხანაგები, კადრის ოფიცერები, კაპიტნები ვიტალი მეფდეშვილი და პეტრე შალაევსკი.

ახლა ანატოლი დრემუხი ქვეგანაყოფის ერთ-ერთი საუკეთესო მეთაური, ახალგაზრდა მეომრების ჩინებული აღმზრდელია. ყოველთვის აკეთებული, ყველაფერში აკურატულია. რთულ სასწავლო-საბრძოლო ვითარებაში ოფიცერს უნარიან მოქმედებას მოწმობს ასეთი შემთხვევა. ერთხელ ქვეგანაყოფი სასროლ პოლიგონზე იყო. ლოკატორმა „დაიჭირა“ მიზანი — „მოწინააღმდეგის“ თვითმფრინავი. ჯგუფიანელები მოემზადნენ რაკეტის გასაშვებად. მიზანი სულ უფრო ახლოვდებოდა. და აი ყველაზე პასუხსაგებ მოქმედება ჩაჭრა დამიზნების სადგურის ინდიკატორის ეკრანი, ანატოლიმ აღმოაჩინა უწესივრობა, დამცავი გადამწყვარიყო, ახალი დაუყენა, მაგრამ ამჯერადაც ეკრანი არ ინთებოდა. შეძენილმა გამოცდილებამ და კარგმა ცოდნამ ოფიცერს საშუალება მისცა სწრაფად მოეძებნა მიზეზი. თურმე მწყობრიდან გამოსულიყო კვეთის ჯაჭვის ერთ-ერთი ნათურა. როცა ანატოლი დრემუხმა საათს დახედა, შენიშნა, რომ უწესივრობის აღმოსაფხვრელად მხოლოდ რამდენიმე წამი დასჭირვებოდა. მიზანი დაიჭიანეს პირველივე რაკეტით.

დამსხვრეული რაკეტა თვითმფრინავის კვარცლუბეკზე, რომელიც დივიზიონის ტერიტორიაზე დგას, სხვებთან ერთად ამოკვეთილია ლეიტენანტ ანატოლი დრემუხის გვარიც. იგი, ისევე როგორც მისი თანამებრძოლები, ფხიზლად იცავს ჩვენი სამშობლოს მშვიდობიან ცას.

— ჯარების წვრთნა, რომელშიც ჩვენი ქვეგანაყოფი მონაწილეობს, — თქვა ოფიცერმა, — თვითეული მეომრის საბრძოლო მზადყოფნის შემოწმების ჩინებული საოლაა. ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი მოქმედებს ძალღონის დაუზოგავად. კარგად აქვთ მეგზებული დასაული ამოცანა — ყველა სროლა მოაწყონ მხოლოდ „ფრიადზე“. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ამოცანას წარმატებით გადაგწყვეტთ.

ა. რუშეშვილი,
ვ. სეროვი,
(საკ. ესის სპეციალური კორესპონდენტები).

ჯარების წვრთნის „სამხრეთის“ რაიონი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საარჩევნო კრებაზე დიდი ინტერესი გამოიწვია საზღვარგარეთ.

პარიზი. საფრანგეთის რადიომ და ტელევიზიამ უკანასკნელი ცნობების გამოშვებებში გადმოსცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის რაიონის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ

ისინი ყურადღებას აქცევენ იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ნატოს საბჭოს, რომლის სხდომა ამას წინათ გაიმართა ლისაბონში, მკაფიო პასუხი არ გაუცია სსრ კავშირის წინადადებაზე, რომ შემცირდეს შეიარაღებული ძალები და შეიარაღება ევროპაში.

ნიუ-იორკი. ამერიკის საგენტოებმა წარწერით „სასწრაფო“ გადასცეს კრემლის ყირილობათა სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსი.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის საგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განიხილოს ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების საკითხი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

ჩილეს მაკუბელაკის პრეზიდენტი სალვადორ ალენდე [illegible] ჩილეს კომუნისტების ხელმძღვანელებს და დიდხანს ესაუბრა მათ. როგორც უურნალისტებს განუცხადა ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა, საუბრის დროს განიხილავდნენ შინაპოლიტიკური პრობლემებს.

● კუბელი მშრომელები გმობენ ამერიკის ხელისუფლებას, რომლებმაც გაანადგურეს ოთხი კუბელი მებადური შეთითხნილი ბრალდებით, თითქოს დაერღვიოთ აშშ-ის ტერიტორიული წყლები. როგორც ვიუწყებოდით, ამერიკის ქალაქ კი-უესტის სასამართლომ მათ მიუსაჯა 6 თვის პატიმრობა და 40 ათასი დოლარი ჯარიმა.

● ვენესუელის სუკრეს დეპარტამენტის ხელისუფლებამ დაწვეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოტანილი უამრავი ურნალი, პლაკატი და ღია ბარათი. როგორც განაცხადა ამ დეპარტამენტის პრეფექტმა, მთელი ეს „ლიტერატურა“ პორნოგრაფიული ხასიათისაა და მიზნად ისახავს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გახრწნას.

● პენტაგონმა საბოლოოდ დაბურა იმ ორი გენერლის „საქმე“ რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამერიკის მხედრიონის მიერ სამხრეთ ვიეტნამის სოფელს სუნგმის მშვიდობიან მცხოვრებთა დახვრეტისათვის.

● უზარმაზარი თანხა — 1.993 მილიონი დოლარი მოსთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკურმა მთავრობამ კონგრესს „მოკავშირეებისათვის“ სამხედრო დახმარების გასაწევად.

● ალმოსაწ�პაკისტანის სამხედრო ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ 11 ივნისიდან გაუქმდა კომენდანტის საათი პროვინციის დედაქალაქ დაკაში. ამავე დროს სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა ტიკა ხანმა ამნისტია გამოუცხადა იმ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მთავრობის საწინააღმდეგო მღელვარებაში. მან ქვეყნიდან წასულებს მოუწოდა დაბრუნდნენ შინ.

(საკ. ესი. 12).

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ᲰᲝᲜᲙᲝᲜᲒᲘ ინგლისის კოლონიაა ჩინეთის სამხრეთ სანაპიროზე. იგი განასახიერებს ბრიტანეთის კოლონიალიზმისა და კაპიტალიზმის — საერთაშორისო მძარცველის — უსაზღვრეს ნიშნებს. ჰონკონგის ჩინელი მოსახლეობის ექსპლოატაცია და უუფლებობა, კოლონიური ადმინისტრაციისა და პოლიციის თვითნებობა და ძალადობა მეფობს დიდი ბრიტანეთის ამ სამფლობელოში.

ბევრ მრავალსართულიან ბარაკში, რომლებსაც ინგლისის ხელისუფალნი რეკლამას უწევენ როგორც „ჩინელი მოსახლეობისათვის ზრუნვის სიმბოლოს“, ლტოლვილები ცხოვრობენ. ზშირად ერთ ოთახ-უაზარმაში ერთდროულად ათამდე ოჯახს ასახლებენ. ამ სახლთა უმეტესობა დიდი ხანია გადაიქცა დამნაშავეთა თავშესაფრად და ბანაობად. ადამიანები, რომლებიც ქალაქის ჯურღმულებიდან ახალმშენებლობათა რაიონებში გადმოსახლდნენ, მალე დარწმუნდნენ, რომ მათი საცხოვრებელი პირობები გაუარესდა. მთის ძირას განლაგებულ ჯოხმახებში მათ ჰქონდათ სუფთა ჰაერი, ფარდულები, სადაც შინაური ფრინველი ბუდობდათ, ბოსტანი, სადაც ბოსტნეული მოჰყავდათ, ახლა კი ყველაფერი ეს უნდა იყიდონ...

სურათზე: ჰონკონგის ხედი ზღვიდან.

საკ. ესის ფოტოქრონიკა.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

12 ივნისი. (საკ. ესი). გუშინ სან-ფრანციასკოს მახლობლად მდებარე ანუქულ ალკატრასზე გაქმოსხეს ავტომატებითა და შაშხანებით შეიარაღებული 35 პოლიციელი, რომლებსაც ხელთ უნდა ეგდოთ ინდიელთა პატარა ჯგუფი, მათ შორის ოთხი ქალი და ხუთი ბავშვი.

„ოპერაციის“ მიზანია კუნძულიდან გაასახლონ ინდიელები. თუმცა ინდიელები უიარაღნი იყვნენ, „ოპერაციაში“ ვერტმფრინავიც მონაწილეობდა. ესენი არიან უკანასკნელნი იმ 89 ინდიელიდან, რომლებმაც ალკატრასი დიაკავეს 1969 წლის 20 ნოემბერს და მოსთხოვეს ამერიკის ხელისუფალთა ნება დაერთოთ ეცხოვრათ კუნძულზე, რომელზეც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ.

კუნძულის დაკავება იყო ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრი მოსახლეობის სასოწარკვეთილებისა და პროტესტის აქტი უსამართლო სოციალური სისტემის წინააღმდეგ, ამერიკელ ინდიელთა ეკონომიური და პოლიტიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომლებსაც გადაშენება მოელით. ალკატრასელ ინდიელთა ბრძოლამ მთელი პროგრესული ამერიკის თანაგრძნობა და მხარდაჭერა გამოიწვია.

ახლა ხელისუფლები გამარჯვებას ზეიმობენ: ალკატრასი „გაწმენდეს“ ინდიელებისაგან. მაგრამ ამ ჯერ გასტეხეს ამერიკის მკვიდრ მოსახლეთა მისწრაფება ბრძოლისადმი. „ჩვენ ვიბრძოლეთ, ჩვენ დავბრუნდებით!“ — ერთხმად გაიძახოდნენ ინდიელები, რომლებიც ძალით გადაიყვანეს ნაპირზე.

ᲙᲐᲠᲘᲖᲘ

ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

12 ივნისი. (საკ. ესი). დღეს გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ პორტუგალიის საიდუმლო პოლიციამ ისევ დააპატიმრა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი აუგუსტო ლინდოლფო. როგორც გამოირკვა, წერს „ლუმანიტე“, ამჟამად ლინდოლფოს აწამებენ და მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

ამ ბოლო კვირებში, წერს გაზეთი, პორტუგალიის ხელისუფალნი აძლიერებენ რეპრესიებს, რათა ჩაახშონ მუშათა, სტუდენტთა, ინტელიგენციის ბრძოლა, ახლახან დაატიმრეს ლისაბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბევრი სტუდენტი, რომლებსაც დაბრალეს პორტუგალიის კომუნისტური პარტიის წევრობა.

ლისაბონისა და ნავსადგურში გამართული საპირველმაისო დემონსტრაციების დროს პოლიციამ მასობრივად დაატიმრა ხალხი. დატიმრებულებს მხეცურად სცემეს პოლიციის უბნებში

საქართველოს ეთა-ბაზეში

ზესტაფონური მარკით უცხოეთში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონი ახლა ჩვენი რესპუბლიკის ძლავრი სამრეწველო ქალაქია, აქაური ფეროშენადნობები, კაბელები, ღვინოები ცნობილია არა მარტო საბჭოეთში, უცხოეთშიც. ზესტაფონური მარკით პროდუქცია გადის მსოფლიოს 45 ქვეყანაში.

ზესტაფონურ ფეროშენადნობებს იღებენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკები, არაბეთი, თურქეთი, ინდოეთი, ირანი, იუგოსლავია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და სხვა ქვეყნები.

ზესტაფონელი მეკაბელეების ნახელავს იცნობენ სირიაში, კუბაში, იაპონიაში და მსოფლიოს სხვა, ოცზე მეტ სახელმწიფოში.

ზესტაფონის ღვინის ქარხნებში ჩამოსხმული პროდუქცია ამშვენებს თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა სუფრას. ქართული ღვინოები იგზავნება ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კუბაში და სხვა ქვეყნებში.

ნახელავს უქებენ...

დუშეთი. (საკ. კორ.). ვინ არ მოუხიბლავს ხევსური, ფშაველი, გუდამაყრელი ქალების მიერ შესრულებულ მამაკაცისა თუ ქალის კოსტიუმებს, თავსახურავებსა და წინდაპაიჭებს, ხურჯინებსა და ხელთათმანებს, რომლებიც ხალხური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენენ.

ამ ბოლო დროს გაიზარდა მოთხოვნილება ხალხური რეწვის პროდუქციაზე, ამიტომ იყო, რომ ცივკავშირის ხალხური რეწვის კომბინატმა სოფელ არაგვისპირში კიდევ ერთი საამქრო გახსნა.

საამქროს კოლექტივი დაკომპლექტებულია თვითნასწავლი მჭედლებით, რომლებიც ზედმეწყვნილი ფლობენ ხალხური რეწვის მაღალ ხელოვნებას. საამქროში ამზადებენ ხალიჩებს, ხურჯინებს, საფულეებს, სათუნუნეებს, ხელსურულ პაიჭებს, წინდებს, ხელთათმანებს, პერანგებს და სხვ. აღნიშნული პროდუქცია იგზავნება, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე საბჭოთა კავშირის ქალაქებში და საზღვარგარეთ.

□

გუნეგის ქომაგი

ამბროლაური. (საკ. კორ.). „ბუნეგის ქომაგი" — ასე იცნობენ გორისუბნის მცხოვრებს, ბუნების ენთუზიასტსა და მოტრფიალეს ელგუჯა დვალს. იგი გაზაფხულს ისე როდი გაუშვებს, რომ სოფელში ათეულობით ძეკნარე არ დარგოს, ან ნაყოფის მომცემი ხე არ დაამყნოს.

ე. დვალმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 50 მილიონი ძეკნარის დარგვისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში. წელს გაზაფხულზე მან მშობლიური სოფლის ხრიოკ ადგილებზე და გზის გასწვრივ 800-მდე ძირი ფიჭვი დარგო. მწვანე ნარგავებმა სილამაზე შემატეს მთის სოფელს, გაამშვენიერეს და გალამაზეს მიდამო.

კიდევ ერთი
კარსტული გამოქვაბული

„შევისწავლოთ ჩვენი მხარე" — ამ დევიზით მოაწყის ლაშქრობა წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთის საშუალო სკოლის ნორჩმა მკვლევარებმა, რომლებმაც სკოლის დირექტორის მოადგილის გ. ქარჩხაძის ხელმძღვანელობით „ზეზობელი" სოფლის გუმათის მთები დალაშქრეს.

„წითელი კლდის" ქვემოთ, ტყით დაფარულ ხევში, სათაფლიის საქვეყნოდ ცნობილი ნაკრძალის ტერიტორიიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მოსწავლეებმა აქამდე სრულიად უცნობი მღვიმე აღმოაჩინეს. ეჩვენ ალარ იწვევდა, რომ ეს კარსტული გამოქვაბული იყო. ნორჩი მკვლევარები უკან გამობრუნდნენ და შემდეგ ჩირაღდნებით შეიარაღებულნი შევიდნენ სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით მოჩუქურთმებულ კარსტულ გამოქვაბულში, რომელიც სათაფლიის გამოქვაბულისაგან განსხვავებით ქვემოთ არის დაქანებული. მისი სიგრძე დაახლოებით 70 მეტრია.

ამრიგად, ნორჩმა მკვლევარებმა ჩვენი ზღაპრული ბუნების კიდევ ერთი ახალი წიგნი გადაშალეს.

სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის დირექციამ გადაწყვიტა გუმათის კარსტული გამოქვაბულის შესწავლა და კეთილმოწყობა. ეს მეთ უფრო გადაუდებელი საქმეა, რომ ახლადმოძენილი ბუნების ძეგლი სათაფლიის მეზობლად მდებარეობს.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ალაზნის პროსპექტზე...

თელავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ალაზნის პროსპექტზე დამთავრდა ხუთსართულიანი შენობის მშენებლობა. ეს № 52 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა საცხოვრებელი შენობაა, რომელიც განკუთვნილია 320 მოსწავლისათვის.

მშენებლობას აწარმოებდა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის თელავის № 4 სამშენებლო სამმართველო, რომელმაც ვადაზე 4 თვით ადრე შეასრულა დავალება.

ტურისტული ბილიკებით

დიდი გამოცოცხლებაა ქვეშეთის ბანაკში. პიონერთა ერიამული ეფინება მთას და ველებს. ამ სურათზე ფოტოკორესპონდენტმა ბ. სანაიამ აღბეჭდა პიონერთა ლაშქრობა ტაშისკარში.

სოხუმის ს. ჭანბას სახელობის თეატრის გასტროლები თბილისში

ვაჟას სიმღერა სცენიდან

ჩვენი დედაქალაქის თეატრები მხატვრული შემოქმედების რთული, კეთილშობილური ამოცანების გადაჭრისას დღეს მარტონი აღარ არიან. მათ გვერდში ამოუდგნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების თეატრები, რომლებიც იმდენად წაძოზარდნენ და დაეიკაცდნენ, რომ თვითეულ ძათგახს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა ადამიანის სულიერი კულტურის, მისი მსოფლმხედველობის, მისი ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებაში. სწორედ ამის მკაფიო და შთამბეჭდავ დადასტურებას ვხედავთ სოხუმის ს. ჭანბას სახელობის თეატრის ორივე დასის საგასტროლო წარმოდგენებზე.

სოხუმის თეატრის ქართულმა დასმა გვიჩვენა ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი". დრამატურგ გ. ხუხაშვილს ცოდნით, პასუხისმგებლობის გრძნობით და მოკრძალებით განუხორციელებია დიდი პოეტის პოემების „ალუდა ქეთელაურის" და „სტუმარმასპინძელის" ერთმანეთთან დაკავშირება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სტილისტურად შეუსაბამო ჩანართს, ეს ინსცენირება გამოხატავს თეატრის დიდ ლიტერატურასთან დაკავშირების მისწრაფებას.

ქართული საბჭოთა თეატრი თავისი ნახევარსაუკუნოვანი გაენთიარების მანძილზე არაერთხელ მიმართავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. ეს სავსებით გასაგებია, რამდენადაც არათუ ქართულ მწერლობაში, არამედ გაცილებით უფრო ფართო ზედმეტად, ვაჟა-ფშაველა დიდი ტრაგიკოსი პოეტია. „გოგოთურ და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „ეთერი", „ბახტრიონი", „სტუმარ-მასპინძელი", „გველისმჭამელი" — ტრაგიკულის პათოსით არიან განსთებული. ამიტომაც ტრაგედიის ეროვნული თეატრის შემოქმედებით ძიებაში ვაჟა-ფშაველას პოეზიას დიდი შთამაგონებელი და წარმმართველი ძალა აღმოაჩნდა. ვაჟა-ფშაველას ეს პოემები შეიცავენ დრამატული გამომსახველობის მძლავრ ნაკადს, და ამდენად სცენისათვის აუცილებელი ქმედობით, დრამატული ენებიანობით და ეეცხლოვანი ტემპერამენტით არიან აღჭურვილნი. თანაც თუ გავიხსენებთ თასამედროვე თეატრის მიერ ამოჩემებულ გამომსახველ საშუალებებს (ავტორისაგან, „ქოროს", წინაუძმო გამომსახველობის ხერხს და სხვ), ვაჟას პოემის ეპიკური და ლირიკული წიაღსვლაც აღარ არის სცენისათვის დაუძლეველი. ვაჟა-ფშაველა თეატრს უბრუნებს მასშტაბურობას და რომანტიკულ ამაღლებულობას. ვაჟას ტრაგიკული გმირები, თავიანთი კაცური კაცობით, ახლის გრძნობით სულიერად ამაღლებულნი, ვაჟაკური შემართებით ებრძვიან დრომოჭმულის დასამხობად და თაობიდან თაობისათვის ნაანდერძევი სულიერი განძის დასაცავად. თუმცა ისინი უთანასწორო ბრძოლაში უწყალოდ ისრისებიან და იღუპებიან, მაგრამ თაობათა სულიერი აღზრდისათვის ჩაუქრობელ ლამპრად არიან ანთებული და გასაგებია, რომ ეს ლამპარი ქართული სცენიდანაც შუქმფინარია, გასაგებია, რომ ქართული ტრაგედიული თეატრის განვითარების ნიშანსვეტებად აღმართულან ვაჟას პოემების სცენური წარმოსახვანი.

სოხუმის თეატრის ქართული დასის თავარი რეჟისორი ლერი პაქსაშვილი მტკიცე მხატვრულ ხელწერას ამჟღავნებს, ვაჟას პოეზიას სიღრმეში წვდომით ათხულობს და თავის გაბედულ გაზრებას ტემპერამენტით, ფრთაგაშლილი ფანტაზიის სცენოვლით და რკინის ნებისყოფით ახორციელებს. სპექტაკლი „მთანი მაღალნი" მტკიცედ არის შეკრული. რეჟისორი მოქმედ პირებს ჰორიზონტს ხაზს ზევით ამოქმედებს, მთის მწვერვალებზე შნოიანად მოძრავი შავ და თეთრნაბდიანი გმირები ზღაპრული სიდიადით და სილამაზით გვხიბლავენ.

რეჟისორი სინათლესა და ფეოს, სიტყვასა და მოძრაობას ისეთი ოსტატობით უძღვის, რომ ყოველ მოქმედ პირს, დადგმულობის ყოველ ნაკვეთს მნოსა და ლაზათს ატებს, მშვენერებამდე ამაღლებს. ესეც უნდა ვთქვათ, ოომ ფერების შერჩევამიც და მიზანსცენირებაშიც რეჟისორს თავშეკავებული სიდარბაისლე და სიმკაცრე ახასიათებს. შავისა და წითლის, თეთრისა და შავის ნაირფერობა პოეტური შეგრძნებით არის განცდილი. ცოცხალსაც და უსულოსაც, რეჟისორი რიტმულ მთლიანობასა და ჰარმონიულ შეთანხმოვანებაში ამეტყველებს. რეჟისორი ვაჟას გმირულ ხასიათებს ისეთი სიმკვეთრით და შთამბეჭდავი ძალით წარმოგვიდგენს, რომ ეს სპექტაკლი ქართული ტრაგედიის თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ. ვინც ერთხელ მაინც ნახავს ამ სპექტაკლს, ის დარწმუნდება, რომ ეს არ არის არც გადაკარბებული და არც წასაქეზებლად ნათქვამი სიტყვა. მარჯანიშვილის და ახმეტელის შემოქმედების ნაკვალევზე ისეთი ნიჭიერებით აღბეჭდილი სპექტაკლების გამორჩევაც სავსებით კახოზომიერია.

„მთანი მაღალნი" იმაშიც გვარწმუნებს, რომ სოხუმის თეატრის ქართულ დასს ძალა შესწევს შთამბეჭდავად და გულისშემძვრელადაც კი გამოხატოს, ვაჟას კაცთმოყვარული ოპტიმისტური ფილოსოფიის წვდომით, რომანტიკული, ტრაგედიული სახეები. მსახიობთა შემოქმედება, ძოელი დასის მონაწილეობით გამართული მასობრივი სცენები, ქორო-მგზნებარე ემოციურობით, პოეტურობით და პლასტიკური გამომსახველობის ეროვნული ეერით წარუშელელ შთაბეჭდილებას ქმნიან. საკმარისია დავასახელოთ ბედნიერად მოგნებული ფინალი, მთელი სპექტაკლის მშვენება რომ წარმოადგენს.

მხატვარ თ. ჟვანიას, კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილს, ქოროეგრაფ გ. ვაშაკიძეს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ვაჟას პოეტური სამყაროს შთამბეჭდავ სცენურ წარმოსახვაში.

„მთანი მაღალნი" და საგასტროლო აფიშის სხვა სპექტაკლები („ბერნარდა ალბას ოჯახი", „პეტრარკას სონეტი", „მარია ტუდორი"და სხვ) იმის მაჩვენებელია, რომ სოხუმის თეატრის ქართული დასი ერთ-ერთი ალიერი შემოქმედებითი კოლექტივია რესპუბლიკაში.

დიმიტრი ჯანელიძე.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „მთანი მაღალნი". ჯოყოლა — მსახიობი ბურაბ ხურცილავა (მარცხნივ) და ალუდა — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ლევან ფილფანი.

ფოტო ი. ბოხოლელიძისა.
(საქდესის ფოტოკორონიკა).

ეკონომიკა

წვიმიან ამინდში

წვიმებით დაიწყო ივნისი. ჯ ივნისსაც თავდაჯერებით წვიმდა. რუსთავში მცხოვრებ ამოლონ ჯაბაშვილს ფრთხილად მიმყავდა „პობედა" კახეთიდან რუსთავში. საფრთხილოცა ჰქონდა, მას ავტომობილში ორი შვილი, 10 წლის თამაზი და 13 წლის ლალი ჰყავდა. ცოტაც და, ამოლონი კახეთის გზატეხილიდან სოფელ გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე გადაუხვევდა და რუსთავამდე მცირე მანძილი რჩებოდა. წინ შემხვედრი ავტომობილი გამოჩნდა. მას დიდი სიჩქარით მოსდევდა ავტომუსი. ავტობუსი წამოეწია ავტომობილს და გასასწრებად ისე უეცრად გადავიდა გზის საწინააღმდეგო მოძრაობის ზოლზე, რომ ჯაბაშვილმა რაიმე ღონისძიების მოფიქრებაც ვერ მოასწრო, ავტობუსი მთელი სისწრაფით შეეჯახა მის „პობედას". ჯაბაშვილი და მისი ვაჟი თამაზი ადგილზეევე გარდაიცვალნენ, მძიმედ დაზიანებული ლალი საავადმყოფოში წაიყვანეს. ასე იმსხვერპლა მამაშვილი წნორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტობუსის მძღოლმა რევაზ ნიკოლოზის-ძე მოსესოვმა.

ასევე საგალალოდ დასრულდა ამავე დღეს გურჯაანელ ზურაბ კიტოშვილის მგზავრობა გორი-ცხინვალის გზაზე. ზ. კიტოშვილი საკუთარი „ვოლგის" საჭეს მართავდა. მანქანაში მას 4 მგზავრი ჰყავდა. წვიმდა, თქეში მხედველობის არეს ზღუდავდა, სველ ასფალტზე შესაძლებელი იყო ავტომობილის მოცურება, მაგრამ ზ. კიტოშვილი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და მთელი სისწრაფით მიაქროლებდა „ვოლგას". მგზავრებიდან არც ერთს, არც გურჯაანელებს გაიოზ თორაშვილს და გორგი დოლუზაშვილს, არც ზნაურის რაიონის მცხოვრებლებს ტანია ცხოვრებოვას და ჯულიეტა ხუციევას დასცდენიათ, რომ კიტოშვილს სიჩქარე შეენელებინა და უფრო დაკვირვებით ეტარებინა ავტომობილი.

დიდხანს არ გაგრძელებულა ავტომარული. ერთ-ერთ მოსახვევში ავტომობილი მოცურდა და ხეს შეეჯახა. დაიმტვრა ავტომობილი, დაიმტვრნენ კიტოშვილი და მისი მგზავრები. დაზარალებულნი საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ორი მგზავრის მიმართ უძლური გამოდგა სამედიცინო დახმარება და ისინი გარდაიცვალნენ.

ა. ბუხრაშვილი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტონადზედამხედველობის ინსპექტორი.

ბოლქანზე—ვეტერანები

თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი

„ლოკომოტივის" სტადიონს გუშინ ცოტა მაყურებელი როდი ეწვია. 35-ე სკოლის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი ამ სკოლის აღზრდილთა და დინამოელთა შორის ჩინებულად ორგანიზებული და მართლაც რომ მიმზიდველი აღმოჩნდა. შეხვედრას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი — სკოლის მასწავლებელთა, მწვრთნელთა და ვეტერან ფეხბურთელთა პარადი, მისალმებები, ჯილდოების გადაცემა.

მაყურებლებმა იხილეს აღიარებული ფეხბურთის მესხისა და კალოევის ჯიმბინაციები და მათი გოლები, მეკარე კოტრიკაძის ლამაზი ნახტომები, მ. ბერძენიშვილის 11-მეტრიანი საჯარიმოს დარტყმა, დათუნაშვილის კუთხურიდან ჩამოწოდება, ანთაძის, მახარაძის, სარჯველაძის, ბ. სიჭინავას, ზაზროევის, ა. ჯაიჭაძის, ელოშვილის, ჭკუასელის, გაგნიძისა და სხვათა ლამაზი თამაში, რომლებსაც წარსულში არაერთხელ დაუმსახურებიათ ერთსულოვანი ტაში და გუშინაც ცოტა სიამოვნება როდი მოგვიტანეს.

პირველ ტაიმში მესხი-კალოევის კომბინაცია უკანასკნელმა გოლით დაამგვირგვინა. მეორე ნახევარში მესხმა ორჯერ აიღო მეტოქის კარი (ერთი პენალტით). თამაშის ბოლოს დინამოელებმა — მ. ბერძენიშვილმა (პენალტით) და ელოშვილმა ორი გოლითვე უპასუხეს. გაიმარჯვეს 35-ე სკოლის ვეტერანებმა 3:2.

მეტოქეთა შემადგენლობა ასეთი იყო:

35-ე სკოლის ვეტერანები — კოტრიკაძე (კიტია, შარაშენიძე), ჭრელაშვილი (ბუმლაძე), თორაძე, ლეჟავა (გიორგობიანი), კახნიაშვილი (ოდიკაძე), ხელაძე, ხუნდაძე, ჟორდანია (ნარიაშვილი), კალოევი, ჭკუასელი (ჯანელიძე, ბახტაძე), მესხი (მოწონელიძე).

„დინამო" — რუხაძე, ჭანჭალეიშვილი (ვარდიაშვილი), ბ. სიჭინავა, რამიშვილი, სარჯველაძე, მახარაძე (კუბლაშვილი), ბარქაია (ანთაძე), ელოშვილი, ზაზროევი (კურტანიძე), გაგნიძე (ა. ჯაიჭაძე), დათუნაშვილი (ცაგარეიშვილი, მელაშვილი).

ვ. გაგელია.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეეჯახნენ დედაქალაქის „დინამოსა" და „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდები. მატჩის შედეგია 2:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

მაძრიდის რინგზე

მადრიდში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი კრიგში. სტარტზე გამოვიდა ორი საბჭოთა სპორტსმენი. პირველ წონაში (48 კილოგრამამდე) ვ. სტრელნიკოვმა (ულან-უდე) წაადო ორთაბრძოლა ევროპის ჩემპიონთან უნგრელ დ. ედელთან, ხოლო მჩატე წონაში ა. ფელნიკოვმა (მოსკოვი) სძლია ი. ბახტიარევიჩს (ბელგრადი).



ცხოვრების ფურცელი

ერდავიწყება კაცისა

საასპარეზოდ გვაძვს ეს სოფელი,
დაეშურენით, მიიღოთ ჯილდო,
და ვინც ბიჭი ხარ, უნდა ეცადო,
კაცურ-კაცობა მამაცად ჰზიდო.

ვაჟა-ფშაველა.

— ხირხონისი — ზემო რაჭაში მთებითა და ტყეებით გარემოსილი, წყაროებმრავალი და ხეხილნარში ჩაფლული ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია, — მითხრა სიმონ ქოჩლაძემ. — იქ ყოფნას, შრომასა და დასვენებას რამე სჯობს?

„მოსკვიჩის" საჭეს მართავდა მეგობარი და არ ცხრებოდა რაჭის სოფლების, მისი ხალხის ქებით...

— ხვალ თიბვაა! — განაგრძო მან, — ტრადიციული დღეა. ყველა ხირხონისელი, სადაც არ უნდა იყოს ის, ჩამოვა სამშობლოდ, სათიბად!..

— ვითომ ჩამოვლენ კი!

— აუცილებლად. კიდევ ისეთ რაღაც განახვევ და მოგასმენინებ, რომ...

— რა უნდა იყოს ისეთი? — დავინტერესდი და ვთხოვე ეთქვა.

— გაგონილს ნანახი სჯობს. ადგილზე შეიტყობ ყველაფერს.

ცხინვალს რომ გავცდით, ორიოდე კილომეტრი განვლეთ, სოფელ თამარაშენში სიმონმა ავტომანქანა გააჩერა და გზიდან რამოდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ლიახვის პირას მდგომ სახლზე მიმითითა:

— არ გინახავს?

— არა.

— როგორ, ქართველ კაცს ივანე მაჩაბლის სახლი არ უნდა გქონდეს ნანახი?

რაღა მეთქმოდა, სიმონმა სამართლიანად მისაყვედურა. საგულდაგულოდ დავთვალიერეთ ილიას, აკაკის განუკრეელი მეგობრისა და შექსპირის დიდი მთარგმნელის ივანე მაჩაბლის სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა მან.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვაუწყეს, მალე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი გაიხსნებაო...

ავტომანქანის ახლოს თამარაშნელებს მოეყარათ თავი. ერთ მათგანს გადაეშალა ადგილობრივი გაზეთი და მონდომებით კითხულობდა.

— არა, სურათითაც რომ გამოუჭიმავთ?!

— ღირსია, ალალია მაგზე ყველაფერი!..

თანასოფლელები კმაყოფილები იყვნენ გაზეთში გამოქვეყნებული ხარკვეეთი—ომგადახდილ, მოწიხავე მებაღეზე.

სიმონმა მუჯლუგუნი წამკრა და ღიმილით ჩამჩურჩულა:

— ხედავ, ხედავ, ხალხის სამსჯავროზე როგორ ფასდება ჟურნალისტის, ჩვენი კოლეგების შრომა!

გზა განვაგრძეთ. სიმონმა დიხჯად, დაძრიგებლის კილოთი დაიწყო:

— ჟურნალისტი საზოგადოებრივი ძოდვაწეა. იგი ცხოვრებას უნდა იცნობდეს ზედმეწყვნეთ, შინაარსიანად, წინ მიუძღვოდეს მას, რათა მისი აღწერის გადმოცემა შეეძლოს დამაჯერებლად, რომ მასში იგრძნობოდეს ზომიერება, გადაუჭარბებლობა და, რაც მთავარია, სიმართლე. ასეთი ხასიათის ნაწერები წაახალისებენ რჩეულთა შორის რჩეულებს, ჩამორჩენილებსა და სწორ გზას აცდენილებს ჩაიფიქრებენ, ადელვებენ, მოანანიებენ ჩადენილ მეცდომებს...

ბაასში გართულნი შეუმჩნევლად ჩავედით ქალაქ ონში და მალე ხირხონისსაც ვესტუმრეთ. თოთხმეტი წყარო, ერთქვანი პატარა წიხვლილები, ხის ორსართულიანი ოდები, გემოვნებით გაშენებული ბაღები, ეზოები... — აღტაცებული დავრჩი ამ პატარა, კეკლუცი სოფლის ზღაპრული სილამაზით.

სოფელში იგრძნობოდა მასპინძლების ზრუნვა-სამზადისი.

— ჯერჯერობით ორმოცდათვრამეტი მთიბავია ჩამოსული, — უთხრა სიმონს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — კიდევ ველით.

— ცელები, საკვერავები, ხალესავი ქვები საკმარისია?

— სამოცდაათი გამოკვერილი, გაჭიდებული ცელი ელის ვაჟკაცებს.

...შევიტყე, რომ თიბვის დღე ყველა ხირხონისელის მოსაწოლეობით, სიმონის თაოსნობით ყოფილა დაწესებული, ხალხს ძოსწონებია, ძხარი დაუჭერიათ მისთვის და უკვე მეხუთედ ეწყობა...

მეგობრის ხმამ გარიჟრაჟზე ადრე გამომაღვიძა:

— ადექი, ჩაიცვი, ახლა იქნება სამდვილი სანახაობა!

— მე და სიმონი ცელებით გავედით სოფლის საკრებულოზე. იქ თავმოყრილ თანასოფლელებს მიესალმა იგი და, თითქოს ჩვენს მიესვლას ელოდენო, წამოიწყო მხედრული და აღმართული ცელებით მორჩხვევის მიხდვრებისაკენ გასწიეს...

მინდვრის თავში ასული ასზე მეტი ხირხონისელი ყურადღებით უსმენდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს:

— ძვირფასო თანამემამულენო! ნება მიბოძეთ გავიხსოო სოფლის ის ამაგდარი ადამიანები, რომლებმაც თავდადებული შრომით ისახელეს თავი, მაგრამ ამჟამად აღარ არიან... დღე ჩვენი სოფლის მომავალმა თაობამ წმიდად შეინახოს მათი დიდების სახელი!

მან სქელყდიანი წიგნი გადაშალა და ოთხმოცზე მეტი სახელი და გვარი წარმოთქვა. დაამთავრა ამოკითხვა და დაამოწმა:

— მოგონება და არადავიწყება მათი!

სამარისებური დუმილი ერთ წუთს გაგრძელდა.

გულშიჩამწვდომი ასეთი სითმო და სიყვარული არასდროს არ მიგრძვნია. ნასიამოვნებმა სიმონს მკლავში მოგკიდე ხელი და მიგულოცე:

—ყოჩაღ, ძმაო, საუცხოოა. ვუყურებ ყოველივე ამას, და ძაღალი ოსტატობით შესრულებულ სპექტაკლს მაგონებს, რომლის დადგმა გამოცდილ რეჟისორსაც შეშურდებოდა.

— ვითომ?

— არაფერს ვაჭარბებ! პირველად ცელი სიმონმა მოუსვა. მას მოჰყვა მეორე მთიბავი, მესამე, მეოთხე, მეხუთე... გაჩაღდა თიბვა და სამიოდე დღეში ორასზე მეტი ჰექტარი გათიბა... იქ გაწეული შრომისა და სიყვარულის დღეები არასდროს არ დამავიწყდება, და ყოველივე ასეთი სიამოვნებისათვის მადლობა გადაგუხადე სიმონს.

მას შემდეგ გავიდა რამდენიმე თვე, და უეცრად გარდაიცვალა გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი კახეთის ზონაში სიმონ არტემის-ძე ქოჩლაძე.

იგი დაეცა ჟურნალისტის მეზხებარე გულით...

ხირხონისელებმა თანასოფლელის უკვდავსაყოფად სიმონ ქოჩლაძე სოფლის საქმისათვის თავდადებულთა საპატიო წიგნში შეიტანეს.

გიორგი პაპიაშვილი.

ჩოგბურთელებს შემოაღამდათ

გრძელდება ლენინის თასის გათამაშება ჩოგბურთში. ევროპის ზონის ნახევარფინალში პაექრობა აქვთ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს. უპირადესობას ცენტრში იღებ ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონის ა. მეტრეველისა და ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელის ი. კოდეშის შეხვედრა პრალაში. ეს მატჩი დაუმთავრებელი დარჩა, რადგან ჩოგბურთელებს შემოაღამდათ. ანგარიშია 7.5, 3:6, 4:6, 4:3. ერთეულთა მეორე ასპარეზობაში ვ. კოროტკოვმა წააგო შეხვედრა ფაპალთან 3:6, 4:6, 5:7.

საჭადრაკო ტურნირები

მოსკოვში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ქალთათვის, გათამაშდა ცხრა ტური. წან არის სსრ კავშირის ჩემპიონი ა. კუზნეცოვი, რომელსაც 7,5 ქულა აქვს.

ესტონეთში საჭადრაკო კლუბის 75 წლისთავს ეძღვნება საჭადრაკო ტურნირი, რომელიც 10 ივნისს დაიწყო პაიჭალუში. მონაწილეობს 14 ოჯახდრაკე. მათ შორის არიან — ვ. ტალი, დ. ბრონშტეინი, ბ. კერესი, ლ. ბოტვინიკი, ა. ლუტიკოვი და სხვები.

ბოლქანზე—ვეტერანები

თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი

„ლოკომოტივის" სტადიონს გუშინ ცოტა მაყურებელი როდი ეწვია. 35-ე სკოლის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი ამ სკოლის აღზრდილთა და დინამოელთა შორის ჩინებულად ორგანიზებული და მართლაც რომ მიმზიდველი აღმოჩნდა. შეხვედრას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი — სკოლის მასწავლებელთა, მწვრთნელთა და ვეტერან ფეხბურთელთა პარადი, მისალმებები, ჯილდოების გადაცემა.

მაყურებლებმა იხილეს აღიარებული ფეხბურთის მესხისა და კალოევის ჯიმბინაციები და მათი გოლები, მეკარე კოტრიკაძის ლამაზი ნახტომები, მ. ბერძენიშვილის 11-მეტრიანი საჯარიმოს დარტყმა, დათუნაშვილის კუთხურიდან ჩამოწოდება, ანთაძის, მახარაძის, სარჯველაძის, ბ. სიჭინავას, ზაზროევის, ა. ჯაიჭაძის, ელოშვილის, ჭკუასელის, გაგნიძისა და სხვათა ლამაზი თამაში, რომლებსაც წარსულში არაერთხელ დაუმსახურებიათ ერთსულოვანი ტაში და გუშინაც ცოტა სიამოვნება როდი მოგვიტანეს.

პირველ ტაიმში მესხი-კალოევის კომბინაცია უკანასკნელმა გოლით დაამგვირგვინა. მეორე ნახევარში მესხმა ორჯერ აიღო მეტოქის კარი (ერთი პენალტით). თამაშის ბოლოს დინამოელებმა — მ. ბერძენიშვილმა (პენალტით) და ელოშვილმა ორი გოლითვე უპასუხეს. გაიმარჯვეს 35-ე სკოლის ვეტერანებმა 3:2.

მეტოქეთა შემადგენლობა ასეთი იყო:

35-ე სკოლის ვეტერანები — კოტრიკაძე (კიტია, შარაშენიძე), ჭრელაშვილი (ბუმლაძე), თორაძე, ლეჟავა (გიორგობიანი), კახნიაშვილი (ოდიკაძე), ხელაძე, ხუნდაძე, ჟორდანია (ნარიაშვილი), კალოევი, ჭკუასელი (ჯანელიძე, ბახტაძე), მესხი (მოწონელიძე).

„დინამო" — რუხაძე, ჭანჭალეიშვილი (ვარდიაშვილი), ბ. სიჭინავა, რამიშვილი, სარჯველაძე, მახარაძე (კუბლაშვილი), ბარქაია (ანთაძე), ელოშვილი, ზაზროევი (კურტანიძე), გაგნიძე (ა. ჯაიჭაძე), დათუნაშვილი (ცაგარეიშვილი, მელაშვილი).

ვ. გაგელია.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეეჯახნენ დედაქალაქის „დინამოსა" და „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდები. მატჩის შედეგია 2:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

მაძრიდის რინგზე

მადრიდში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი კრიგში. სტარტზე გამოვიდა ორი საბჭოთა სპორტსმენი. პირველ წონაში (48 კილოგრამამდე) ვ. სტრელნიკოვმა (ულან-უდე) წაადო ორთაბრძოლა ევროპის ჩემპიონთან უნგრელ დ. ედელთან, ხოლო მჩატე წონაში ა. ფელნიკოვმა (მოსკოვი) სძლია ი. ბახტიარევიჩს (ბელგრადი).

ИЗВЕСТИЯ

ვაზეთის მოტანა რომ არ შეგიწყვეტოთ, ნუ დაგვიწყებთ უახლოეს დღეებში გააგრძელოთ ხელმოწერა გაზეთ „იზვესტიაზე" 1971 წლის მეორე ნახევრისათვის.

ხელმოწერას იღებენ კავშირგაბმულობის განყოფილებები, „სოიუზპეჩატის" სააგენტოები; ხელმოწერა შეიძლება აგრეთვე მუშაობის ან სწავლის ადგილის მიხედვით, საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში.

ტელევიზია

13 ივნისი

პირველი პროგრამით

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასაძლიერებლად — ლექცია საბჭოთა კავშირის ნაღლთა ისტორიაში, 10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასაძლიერებლად: ლექცია ძალთმატიკაში, 11.45 — კიბონარკვეში, 11.55 — ლექცია ქიმიაში, 12.40 — საბჭოთა კავშირის ნაღლთა მეუფეთ ცარატკაიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — „ეიხოა